№ 11 | 1877—1897 | № 11

ოთხშაბათი, 29 იანვარი 1897 წ.

**ფასი გაზეთისა:**

| თვ. | მან. | კ. | თვ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ — ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

# ივერია

ოთხშაბათი, 29 იანვარი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227.

კნეინა **მარიამ ნიკოლოზის** ასული **ჯამბაკურიან-ორბელიანისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თავის მეუღლისა თავადის **ალექსანდრე ესტატეს ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისას**, სთხოვს მათ, მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გასასვენებლად საკუთარ სახლიდამ (ორბელიანთ ქუჩაზე) ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში ხუთშაბათს, 30 იანვარს, 10 საათზედ. პანაშვიდი ყოველ დღეა დილის 12 საათზე და საღამოს 7 საათზე. (2—2)

---

**ქეთევან შიოს ასული, მარიამ ივანეს ასული, ალექსანდრე და დავით ელისბარის ძენი გუნდიაშვილები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი შვილისას, მეორე ქმრისას, მესამე და მეოთხე თავიანთ ძმის

**შაქრო გუნდიაშვილისას.**

პანაშვიდი გარდახდილ იქნება ყოველ დღე საღამოს 6 საათზედ: ვოკზალზე, მელიქ-ყარაგოზოვის სახლებში. მიცვალებულს გაასვენებენ ხუთშაბათს, 30 იანვარს, კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში დილის ათს საათზედ. (2—74—1)

---

## „ივერია“

გამოვა 1897 წელს

იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 11 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ეღირება 17 მ.

ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Редакція „Иверіа“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 ® „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

### 1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნოს). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.

ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

---

### რედაქციისაგან

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თთვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თთვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

---

ქართული თეატრი.

**ბენეფისი**

კნ. ბ. ავალიშვილისა.

ოთხშაბათს, 29 იანვარს.

პირველად ახალი პიესა

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ავალიშვილისა, ალექსი-მესხიშვილისა, ყიფიანისა და აბაშიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

I

**ბოშა ქალი ზანდა**

დრ. 4 მოქ. 5 სურ., თარგმ. გალუსტოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ავალიშვილისა, ჩერჩეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელი, ივანიძე და სხვ. ბ-ნნი. ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, მარჯანიშვილი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე კარბელი, საფაროვი, აბრამოვი, გვარამაძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრ. კ. შათირიშვილი

---

ექიმი

**გიორგი გადრიძე**

იღებს ავადმყოფებს 12—2 სათ.

სვიმონოვის ქუჩა, № 8

(5—1460—5)

---

### მთავრობის განკარგულებანი.

დათხოვნილ იქმნა: მე-44 ნიჟეგოროდის დრაგუნთა რაზმის შტაბს-როტმისტრი თავადი მელიქიშვილი—იმპერიის სხვა-და-სხვა ადგილას და საზღვარ-გარეთ 11 თვით.

დანიშნულ იქმნა: [illegible] სასხლმწიფო მამულის ტყის კონდუქტორი, გუბერნსკი სეკრეტარი ქურული—კავკასიის საცენზურო კომიტეტის ადგილობრივ და აღმოსავლეთ ენების უმცროს ცენზორის თანამდებობის აღმასრულებლად.

დანიშნულ იქმნა: ოზურგეთის მაზრის უფროსი, პოდპოლკოვნიკი ეგოროვი—ბათუმის პოლიცმეისტრად.

---

## ახალი ამბავი

—

*** 20 თებერვალს ტფილისის კლუბის დარბაზში გაიმართება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: კნ. გურამიშვილისა, კნ. ამირეჯიბისა, ბ-ნ სარაჯიშვილი, ლოდი, ყარაშვილი, აკაკი წერეთელი, ველიჩკო, და სხვანი. კონცერტის შემდეგ ცეკვა გაიმართება.

ვისურვებთ, რომ ამ კონცერტს ბლომად დაესწროს ხალხი, რადგან ჩვენის საზოგადოების ღონისძიება ყველაზე მეტად ახლა ჰსაჭიროებს გაძლიერებას, როდესაც მისმა მოქმედებამა და თან ხარჯმაც შესამჩნევად იმატა. რამდენადაც ვიცით შარშანდელს წელს საზოგადოებას ხარჯი გაცილებით მეტი ჰქონია ვიდრე შემოსავალი. ამიტომაც წრეულს საჭიროა, რაც შეიძლება მეტი თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება აღმოუჩნდეს „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, რომელსაც ულონისძიებოდ არ შეუძლიან თავის მოვალეობის პირ-ნათლად შესრულება.

*** დღეს, 29 იანვარს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ქ-ნის ბარბარე ავალიშვილისა, რომელიც დიდი ხანია ქართულს სცენაზედ ჰმოღვაწეობს. პატივცემულს არტისტქალს თავისს საბენეფისოდ ამოურჩევია საუცხოვო გერმანული პიესა, ქართულად გალუსტოვის მიერ ნათარგმნი, „ბოშა ქალი ზანდა“, დრამა ოთხ მოქმედებად და ხუთ სურათად. როგორც ახალის პიესის წარმოდგენა, ისე დღევანდელი ბენეფისი, რასაკვირველია, საინტერესოსა ჰხდის ამ საღამოს და სრული იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება მრავლად დაესწრება წარმოდგენას.

*** ჩვენის ქალაქის გამგეობაც, როგორც ეტყობა, მზადებას შესდგომია შავის-ჭირის წინაღმდეგ საბრძოლველად. გამგეობას ქალაქის საექიმო-სასანიტარო საბჭოსთვის დღენერის მიერ გამოგონილი დროებითი საავადმყოფოს გეგმა გარდაუცია და დაუვალებია, რომ დაუყოვნებლივ გვაცნობეთ თავისი აზრი რამდენად პრაქტიკული და გამოსადეგი იქნება ეს საავადმყოფო, თუ ვინიცობაა ტფილისს შავი ჭირი ეწვიაო.

*** ორშაბათს, 27 იანვარს, ტფილისის გუბერნიის მმართველობის სა-ქალაქო საქმეთა საკრებულომ, ბ-ნ გუბერნატორის წინადადებით, განიხილა საგანი იმის შესახებ, რომ ტფილისის საბჭოს ახალ ხმოსანთა არჩევანები ერთს ადგილას მოხდეს, როგორც საბჭოს მიერ დადგენილია და გუბერნატორის მიერ დამტკიცებული, თუ ქალაქის სხვა-და-სხვა უბნებში, როგორც ზოგიერთებს საჭიროდ მიაჩნიათო. საკრებულო იმ აზრს დაადგა, რომ საჭირო არ არის, არჩევანები სხვა-და-სხვა უბანში მოხდესო და ძალაშივე დასტოვა საბჭოს დადგენილება, რომელსაც, ქალაქის საქმეთა საკრებულოს აზრით, თანხმად ქალ. დებ. 34 მუხ., სრული უფლება აქვს მინიჭებული ქალაქის არჩევანების ადგილის დანიშვნისა.

*** გუშინ, სამშაბათს, 27 იანვარს, პირველ განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლემ განიხილა კვლავ საქმე „სამტრედი“-ს სასტუმროს პატრონისა არუთინოვისა, რომელიც უჩიოდა თავ. ვასილ და გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილებს და გ. ტატიშვილს, რომ ბანკის არჩევანებზედ ჩამოყვანილი კენჭოსნები დააყენეს ჩემს სასტუმროში და ორასი მან. ვალი დაედოთო. როგორც ვუწყით, ეს საქმე სასამართლომ ამას წინად გადასდო მოწმეთა დასაბარებლად. გუშინ მოწმებსაც ეკითხა. განაჩენი ჯერ გამოცხადებული არ არის.

დაწვრილებით ამბავს შემდეგ ვაუწყებთ ჩვენს მკითხველებს.

*** სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია გაჰმართოს პეტერბურგს თევზის მოსაშენებელი ადგილი. ამას გარდა, კარგი ჯიშის თევზის მოშენებას შეუდგებიან იურიევს, მდ. ლეგაში, კამას, მტკვარს, ურალს და ვოლგაში.

*** ჩვენ მივიღეთ ცალკე წიგნად დასტამბული ჩვენის პოეტის ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“, იმედაშვილისა და ქელიძის ამხ. გამოცემული. წიგნაკს წინ უძღვის მოკლე, ლამაზედ დაწერილი ავტორის მოკლე ბიოგრაფია გრ. ყიფშიძისა! აგრეთვე თვით ავტორის სურათი. ჩართულია სხვა სურათებიც. შინაარსი ამ საუცხოვო პოემისა ჩვენ მკითხველებმა უკვე უწყიან, რადგან იგი პირველად ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა. წიგნაკი ლამაზად არის დაბეჭდილი, მაგრამ შიგ ჩართულს ნახატების შესახებ-კი ესევე არ ითქმის. მთელი პოემა შეიცავს 72 გვერდს პატარა ფორმატისას და ჰღირს ერთი აბაზი.

*** განჯა: 25 იანვარს განჯაში ქართული საღამო გაუმართავთ ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ. წარმოუდგენიათ [illegible] და ბ-ნ ვ. აბაშიძის მონაწილეობით ანტონოვის კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე“. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა თურმე. წარმოდგენის შემდეგ იმღერეს რამდენიმე ქართული სიმღერა. ბოლოს დაუწყვიათ ცეკვა, რომელმაც დიდს ხანს გასტანა თურმე. საღამოს მრავალი ხალხი დასწრებია და შემოსავალი, როგორც ამბობენ, ას თუმანს აღემატებაო.

*** როგორც გაზეთი „კასპ.“ გვატყობინებს, ბაქოს რამოდენსამე ახალგაზდა მაჰმადიანთ განზრახვა აქვთ, სამუდამო სათეატრო დასი შეადგინონ თათრულს ენაზე ორიგინალურისა და ნათარგმნის პიესების წარმოსადგენად. წარმოდგენების შემოსავალი უნდა მოხმარდეს ბაქოს მაჰმადიანთა სასწავლებლებსა და სხვა საქველ-მოქმედო საქმეთ.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ეს ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გალიცინი 25 თებერვალს გამოემგზავრება კავკასიაშიო.

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელახლა შეუდგა იმის განხილვას, თუ კავკასიის აქეთა მხრის საგზაო ბეგარის წესდებაში რა და რა ცვლილება უნდა მოხდეს. სამინისტრო, განიხილავს-რა ამ საგნის შესახებ კავკასიის მთავრობის მიერ წარდგენილს ყოველ გვარ ცნობებს, განსაკუთრებულს კანონს შეიმუშავებს ჩვენს ქვეყანაში შემოსავლებ გზის ბეგარისასო.

*** ქუთაისი: ამ ჟამად აქ გაიმართა უფასო სამკითხველო და წიგნთსაცავი განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის სახსოვრად. ჯერ ხანად სამკითხველო თუმცა ღარიბია, მაგრამ იმედი გვაქვს, შეიძენს ყველა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებს და მკითხველებსაც საკმაოდ მოიპოვებს. ეს სამკითხველო მით უფრო საყურადღებოა, რომ მდაბიო ხალხი უფრო

ეტანება. მაშასადამე, ამ ფრიად სასიამოვნო მოვლენას კეთილად ხელის შეწყობა ესაჭიროება.

ვუსურვებთ ამ სამკითხველოს და წიგნთ-საცავს თანდათან წინ წაედგას ნაბიჯი.

*** ბათუმი: აქ ორს ადგილას იყო კრება გამართული შავის-ჭირის შემოტანის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გამოსარკვევად. ორსავე კრებას ყველა უწყების ექიმები დაესწრნენ. პირველი კრება გუბერნატორის თანაშემწის ბ-ნ სამოილოვის სახლში იყო და დაადგინეს, ვკითხოთ ყველა განყოფილების უფროსთ, რა ღონის ძიებანი უნდა იქმნას მიღებული, რომ შავი-ჭირისაგან დავიფაროთ ბათუმის ოლქიო; ხოლო მეორე კრება ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ლ. ასათიანმა გაჰმართა. ამ კრებაზედ დაადგინეს, ეხლავე შევუდგეთ ჰიგიენურ-სანიტარულ ღონისძიებათა ხმარებასაო. („ნოვ. ობოზ.“).

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როგორც ვუწყით, რუსეთის მთავრობა ამ ჟამად რუსეთის სასამართლო კანონების გადათვალიერ[illegible] ამ კანონებიდგან გამოტოვებულ იქმნას ყოველივე ის, რაც აღარ შეეფერება ცხოვრების მოთხოვნილებას, და დაერთოს იგი, რაც გამოცდილებამ საჭიროდ და სათანადოდ სცნო. „იუსტიციის სამინისტროს ჟურნალის“ იანვრის წიგნში დაბეჭდილია ვრცელი წერილი სათაურით „მუშაობანი სასამართლო ნაწილის განსაკარგებლად“, რომელშიაც ნათლად და სავსებით არის გამოთქმული სამინისტროს აზრი ამ ცვლილებათა შემოსაღებ მოღვაწეობის შესახებ.

სასამართლოს განკარგების საქმეშიო, სწერს ჟურნალი, სხვა საფუძვლის ძებნა აღარ არის საჭირო, იმის გარდა, რომელიც აღნიშნულია უმაღლესის ნებით 1864 წლის 20 ნოემბრის სასამართლო ცვლილებათა ძეგლზედ, რომელიც საზოგადო სახელმძღვანელოა მართლ-მსაჯულებისათვის. ამას იქით წასვლა შეუძლებელი არის და ამაზედ უკეთესად არ შეიძლება იმისი გამოთქმა, რასაც ელის და თხოულობს ერი თავისის მოსამართლეებისაგან. სამართალი სწრაფი, მართალი, მოწყალე, ე. ი. სამართლიანი, ყველასათვის თანასწორი, მისაწვდომი, კანონის მიმართ პატივისცემის დამამკვიდრებელი — აი იდეალი, აღგებული კანონ-მდებლობის მიერ სასამართლოს უწყების წინაშე...

„მხოლოდ ის სასამართლო იქნება ნამდვილი იარაღი კანონისა, გამომეტყველი სიმართლისა, საიმედო ორგანო მთავრობისა და საზოგადოების წესიერების ნამდვილი დამამყარებელი, რომელიც ეცდება ჯეროვნად აღასრულოს ზემოხსენებულნი მოთხოვნილებანიო.

აქედგან ცხადია, რომ მართლ-მსაჯულება მაშინ უფრო უკეთ მიაღწევს თავისს საგანს, თუ სასამართლოს მოწყობისა და მოქმედების საქმეში მიიშველია ის დედა-აზრნი, რომელიც იმ თავითვე დაედვა საფუძვლად სასამართლო წესდებათ და არ უკუ-გდებულა შემდეგშიაც მრავალ ცვლილებათა შემოღების დროს, რითიც მან დაგვანახვა თვისი სიმტკიცე და სიცოცხლის შემ[illegible] საფუძველი შენობას მართლ-მსაჯულებისას ბევრი არა აქვს და ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია ასე თუ ისე შეიცვალოს, ცხოვრებას შეეფეროს, მაგრამ მისნი მთავარნი დედა-აზრნი-კი ხელ-შეუხებლად უნდა იყოს დატოვებული. აი ეს დედა-აზრნი: სამართალი სიტყვიერად უნდა სწარმოებდეს, საჯაროდ, კამათობის წესით, სასამართლოს წინაშე პირადნი უფლებანი დაცულ იყოს, სასამართლოს სხვა-და-სხვა მოვალეობა განაწილებულ იყოს, საქმე გამოირკვეს მოსამართლეთა სინიდისის რწმენის შესაფერად, შეურყევლად იქმნას დაცული სასამართლოს განაჩენის ანუ გარდაწყვეტილების კანონიერი ძალა, მართლ-მსაჯულების საქმეში საზოგადოებასაცა ჰქონდეს მონაწილეობა, სასამართლო და მოსამართლენი დამოუკიდებელნი იყვნენ და ყოველი საქმე სასამართლოს ორს დაწესებულებაში ირჩეოდეს უმართებლესის სენატის მეთაურობითა და მეთვალყურეობითაო.

ამის გამო აშკარააო, განაგრძობს სამინისტროს ჟურნალი, რომ დღევანდელს დღეს რუსეთის იუსტიციას შეუძლიან მხოლოდ ისეთი ცვლილებანი შემოიღოს მართლ-მსაჯულების საქმეში, რომელიც

განკარგება იქნება მისი და არა სრულიად გადასხვაფერება, სხვა საფუძველზედ აგება. საკმარისია იგი განვითარებულ იქმნას და განკარგებული, შეივსოს ის ნაკლნი, რომელიც გამოცდილებამ წინ დაგვიყენა, შეთანხმებულ იქმნას ერთმანერთის მოწინააღმდეგე და უარ-მყოფელნი მუხლნი და აცილებულ იქმნას მისნი სუსტნი კანონნი, ცუდად და ვნებით მომქმედნი ერის ყოველ-დღიურს ცხოვრებაზეო.

სიამოვნებით აღვნიშნავთ რა რუსეთის იუსტიციის მიერ ასეთის სიტყვა-მოჭრით გამოთქმულს, გარკვეულს აზრს იმის შესახებ, თუ რა ცვლილებანი უნდა იყოს შემოღებული აწინდელს კანონ-მდებლობაში, იმედი გვაქვს, რომ ეხლა მაინც მოეღება ბოლო რუსეთის ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთების უაზრო წერილების ბეჭდვას აწინდელ სასამართლოს და მისის წეს-რიგის წინააღმდეგ. ზოგიერთი გაზეთები, როგორც ვუწყით, ჰკიცხავდენ ნაფიც მსაჯულთა დაწესებულებას და სასამართლოს აწინდელ დამოუკიდებლობას და როდესაც გაისმა ხმა, რომ მთავრობა შეუდგა კანონთა გადასინჯვა-გადათვალიერებასაო, ეს გაზეთები ზარითა და ზეიმით მიეგებენ ამ ამბავს იმ იმედით, რომ მთავრობაც თანაუგრძნობს ჩვენს აზრს და ბოლო მოეღება ნაფიც მსაჯულთა დაწესებულებასა და სასამართლოს დამოუკიდებლობასაო. ეხლა, რასაკვირველია, დარწმუნდებიან, რომ მთავრობის აზრსა და მათს სურვილს შორის დიდი ზღვარია და რომ მათი მეცადინეობა თეთრის გასაშავებლადა და გასათახსირებლად ამაო და ტყუილი დროს კარგვა იყო.

---

## რუსეთი

—

სახელმწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედების სამინისტროს უთხოვნია საგუბერნიო საერობო სამმართველოთათვის, რომ დამისახელეთ ისეთი კორესპონდენტები, რომელნიც იკისრებენ ადგილობრივ სასოფლო ხელ-საქმის შესახებ ცნობების შეკრებასაო. სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს შეადგინოს სტატისტიკური ცნობები ხელ-საქმისა იმ კორესპონდენტების დახმარებით, რომელნიც თავისის ნებით იკისრებენ ამ საქმეში თანამშრომლობას. კორესპონდენტებმა უნდა გამოარკვიონ, სად რა ხელ-საქმეა განვითარებული, სად და როგორ იყიდება ესა თუ ის ნამოქმედარი ხელ-საქმისა და სხვანი.

—

ბუხარის ემირის მემკვიდრე, მირ-ალი-ტიურია-ჯანი, რომელიც პეტერბურგის ნიკოლოოზის კადეტთა კორპუსში სწავლობდა, ამ მოკლე ხანში ბუხარის ერთ-ერთ პროვინციაში დაინიშნება გუბერნატორადაო.

—

ამ ბოლოს დროს კიევში ხშირად ასაღებენ თურმე ყალბ ვერცხლის მანეთიანებს, რომელიც თითქმის არაფრით არ განირჩევა ნამდვილის ვერცხლის მანეთიანებისაგან. ფული გაკეთებულია რაღაც ლითონისაგან, რომელიც გარეგნობით ძლიერა ჰგავს ვერცხლს, მაგრამ ძნელი არ არის იმისი გამოცნობა, რადგანაც ის იატაკზე დაკვრის დროს არა წკრიალობს და მხოლოდ რაღაც ყრუ ხმა აქვს. ასეთი მანეთიანები აღნიშნულია 1892 წლის თარიღით და ირგვლივ არა აქვს წარწერა: „$^1/_3$ მისხ. 21 დრამი წმინდა ვერცხლი“.

—

მათის იმპერატორებითის უმაღლესობის, ა. პ. ოლდენბურსკის განკარგულებით, საექსპერიმენტალო საექიმო ინსტიტუტში დაარსდება დროებითი კურსები იმ ექიმთა და ექიმის თანაშემწეთათვის, რომელნიც გაიგზავნებიან სპარსეთის, ოსმალეთის და ავღანისტანს შავი-ჭირის წინააღმდეგ საშუალებათა მისაღებად.

სახელმწიფო კანცელარიას უკვე შეუდგენია და დაუბეჭდია მესამე ტომი კანონთა კრებულისა, რომელსაც დაერქმევა 1896 წლის გამოცემა.

—

გადაწყვეტილია, რომ რუსეთის ყველა საბალოსნო სასწავლებელში შეიძინონ მავნებელ მწერთა ახალი ენტომოლოგიური კოლლექციები.

—

უკვე ნება დაურთავთ გაიმართოს „პირველი სრულიად რუსეთის სცენის მოღვაწეთა კრება“. კრება დაიწყება მოსკოვს დიდ მარხვაში და ორ კვირაზედ ნაკლებს არ გასტანს. კომისია, რომელსაც დავალებული აქვს კრების მოწვევა, ფიქრობს ოთხ ნაწილად გაჰყოს პროგრამა მოქმედებისა: 1) საზოგადო საგნები; 2) სასცენო მოღვაწეთათვის საზოგადო წესის დადგენა; 3) სცენის კარგად მოწყობის საქმე და 4) სცენის მოღვაწეთა ქონებრივად უზრუნველყოფა.

—

1896 წელს მთელს რუსეთში ჯარში გასაყვანთა რიცხვი 971,047 ყოფილა, ამათ შორის ებრაელნი 50,641 კაცი, დაჰკლებია 1,988. სამსახურში მიღებულ ებრაელთა რიცხვი შეადგენდა თურმე 15,831, მოუკრეფელი დარჩენილა 1,588 კაცი. თურმე შარშანაც და წინა წლებშიაც მოუკრეფელი მომეტებულ ნაწილად ებრაელნი რჩებიან. თუ ეს ციფრები შევუდარეთ ერთმანეთს, დავინახავთ, რომ ყველა სამსახურში ჩარიცხულ, მაგრამ მოუკრებელთა რიცხვში ებრაელნი 80% შეადგენენ.

—

ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, რომ შარშან ნიჟეგოროდის იარმუ-

---

# ფელეტონი

—

### შავი-ჭირი

გუშინდელ ფელეტონში *) ჩვენ მოკლედ მოვახსენეთ მკითხველს ვითარება იმ საშინელის ჭირისა, რომლის შიშით ეხლა ყველანი დიდს საფიქრებელში არიან. შემდეგ უკვე მოთხრობილისა საჭიროა ვიცოდეთ: შესაძლოა კაცმა თავიდამ აიცდინოს იგი ჭირი და წამალი რამ აქვს, თუ არა. ამის პასუხად პროფესსორი სკორიჩენკო ამბობს: უფრო განათლებულმა ნაწილმა კაცობრიობისამ თავიდამ მოიშორა ეს შეუბრალებელი მტერიო. გამოვიძიოთო, როგორ და რა გზით მოხდა ეს სანუგეშო ამბავიო? ყველა ღონისძიება ჭირთან შესაჭიდებლად ორის სიტყვით გამოიხატებაო, ამბობს პროფესსორი: ეგ ორი სიტყვა არის: სიფაქიზე და განცალკევებაო. იქ, სადაც სიფაქიზე და განცალკევებაა, მკვიდრთა არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეთო და საცა ეგ არა არის, სატკივარი საშინლად მძვინვარებსო. ჭირი, როგორც ხოლერა, იქ იკიდებს ფეხსა და ძლიერდება, საცა ბევრი ჰუჰყია, ბევრი უწმინდურება, ბევრი ნაგავი, საცა რამ იხრწნება ყ ჰლპება, საცა ჰაერი საკმაოდ არ იძვრის და არ ახლდებაო. ამიტომაც ჭირი იმისთანა ადგილებს უფრო აირჩევს ხოლმე, საცა ღარიბნი სცხოვრებენ ჯგუფად და მჭიდროდ და საცა უფრო ჰუჰყიანი და ნაგვიანი უბნებიაო.

სიფაქიზე რა რიგად ჰშველის ჭირის დროს ადამიანს, ამის მაგალითად პროფესსორს მოჰყავს შემდეგი: 1894 და 1895 წლებში ჰოკონგში ჩინელნი ძალიან დაზარალდნენ ჭირისაგან იმ უბნებში, საცა თვითონ ჩინელნი სცხოვრებენ უწმინდურად და ჯგუფად. ხოლო ევროპიელთა უბნებში, საცა ფართოობა, ხალვათობა და სიფაქიზეა, ჭირი არ მიჰკარებია. ეხლაც ბომბეაში იმ სახლებში, საცა ევროპიელნი დგანან, ჭირი არავის შეჰყრია, თუმცა ჭირისაგან დახოცილი თაგვებიც-კი უპოვიათ იმავ სახლებში. ცხადიაო, ამბობს პროფესსორი, რომ, თუნდ ჭირიც შესული იყოს სადგურში, არ გადადის ადამიანზე, თუ სახლში ფაქიზობა და სიწმინდეაო.

მართალია, არის იმისთანა ადგილებიც, საცა სანიტარული გარემოებანი მეტად ავყოფაშია, მაგრამ მაინც ჭირი არ მიჰკარებია მაშინ, როდესაც ახლო-მახლო ჭირი ყოფილა ძალიან. ცხადია, რომ ჰუჰყისა და უწმინდურებისათვის საჭიროა იმისთანა რამ, რაც ლპობას და გახრწნას ხელს უწყობს. ამისთანა რამ ის ჭირის ჩხირია (чумная палочка), რომელიც წინა ფელეტონში მოვიხსენიეთ და რომელიც დედაა ჭირის გაჩენისათვის. თუ ეს დედა ჭირისა არსაიდამ არ შემოიტანეს და არავისაგან არც ადამიანს გადაედო, არც ჰუჰყსა და ნაგავში არ გაირია, ჭირი არ გაჩნდებაო. აქედამ ცხადიაო, ამბობს მერე პროფესსორი სკორიჩენკო, რა მნიშვნელობა აქვს ან ჭირიან კაცის განცალკევებას, განმარტოებასაო, ან იმ ადგილებისას, საცა ჭირი უკვე გაჩენილიაო.

ძველი და ახალი გამოძიებანი ამტკიცებენ ერთსა და იმავესაო: თუ მოხერხდა როგორმე ჭირიან ადგილს ალყა შემოეკრას და სხვა ადგილებისაგან ამ რიგად გაცალკევდეს და განმარტოვდეს, სატკივარი მარტო ამ მომწყვდეულ ადგილებში-ღა რჩება რამდენსამე ხანს და მერე გადავარდება კიდეც და სხვაგან არ გადადისო. შესანიშნავი თურმე ის არის, რომ ჭირისაგან ხსნას ამ გზით უფრო და ადვილად ეშველება, ვიდრე სხვა რამ სატკივარსაო. ჭირი ძალიან ნელა გადადის და გადმოდისო. სის წრაფით ინფლუენცია არაბის ცხენსა ჰგავს, ხოლერა გლეხის ცხენსა და ჭირი კი ძროხასაო. ჭირი მთელ წლობით არ გადადის იქიდამ, საცა გაჩნდება და ძალიან მძიმედ მოძრაობს სხვაგან გადასასვლელადაო.

განცალკევება, განმარტოება, მომწყვდევა ერთს ადგილას ჭირისა ძალიან უებარი რამ არის და ჰშველის იმას, რომ ჭირი იქავ ჩაკვდეს, საცა გაჩენილია, და შორს აღარსად გადავიდეს. ეგ განცალკევება, განმარტოება იქაც-კი ბევრსა ჰშველის, საცა ჭირია უკვე გაჩენილი. ბევრგან დანახულია და ნაცადი, რომ განცალკევებას, განმარტოებას თვით ჭირიან ადგილებში გადაურჩენია ადამიანი. პროფესსორს ამის დასამტკიცებლად ორი მაგალითი მოჰყავს. ქაირში (ეგვიპტის ქალაქია) ჭირი რომ გაჩნდა, ერთი სკოლა, საცა 150 შეგირდი სწავლობდა, გაალკევეს ასე, რომ გარედამ არავის შიგ არ უშვებდნენ. 150 შეგირდიდამ არც ერთს არ შეჰყრია ჭირი და სულ მთლად გადარჩენილან სალსალამათად. ერთი ნაწილი ამ სკოლისა, საცა 22 შეგირდი იყო, არ გაუცალკევებიათ და სულ ერთიანად ჭირს დაუხოცნია. აქ თურმე მოსამსახურენი ოთხჯერ გამოსცვალეს, იმიტომ რომ სულ იხოცებოდნენ, რადგანაც სკოლის გარედ იყვნენო. ამავე ქაირის ახლო-მახლო ერთი სკოლა, საცა 450 სული სცხოვრებდა, გაალკევეს, გარედამ არავის უშვებდნენ. იქავ გვერდით სახლებში დღეში 11—12 კაცი კვდებოდა ჭირისაგან, განცალკევებულ სკოლაში კი ერთიც არ გამხდარა ავად. ამ სკოლას გარედამ უვლიდა 24 კაცი და ამათგან 20 ჭირმა წაიღო და მარტო ოთხი-ღა გადარჩა. ერთი მოსამსახურე, რომელსაც შიგნით ჰქონდა ბინა, ღამით გამოპარულიყო და ქალაქში წასულიყო. მეორე დღესვე ჭირით ავადგახდა და მოკვდა. მისი ნაქონები ყველაფერი დასწვეს სკოლაში და ჭირმა თავი არ იჩინა. ბევრი ამისთანა მაგალითები მოჰყავს მეცნიერს ბიულარს თავის თხზულებაში. ქურთებსაო, ამბობს პროფესსორი, ერთი კაი ჩვეულება აქვთ: რა დროსაც შეატყობენ, რომ რომელსამე სო-

*) იხ. „ივერია“, № 10.

კაში 350,000,000 მანეთის ალებ-მიცემობა ყოფილა. ამ რიცხვიდგან ბანკებს შესავალ-გასავალი ჰქონიათ 343,000,000 მან., ზარაფხანებს—600,000 სასტუმროებსა; და ტრაქტირებს 585,000 მან., საწვრილმანოებს—355,000 მან. და სხვ. ამ დროსვე განმავლობაში ტელეგრაფს წმინდა შემოსავალი ჰქონია 63,000 მან.

## უცხოეთი

**საბერძნეთი.** საბერძნეთში დიდი პოლიტიკური მოძრაობაა ამ ჟამად. ვისაც ამ ქვეყნის ამ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ისტორია შეუსწავლია, ის დიდს მზგავსებას ჰპოებს ეხლანდელსა და მაშინდელ საბერძნეთის მოძრაობათა შორის. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მაშინ ბერძნების წადილი იყო თავიანთის სამშობლოს ოსმალთა მფლობელობიდგან განთავისუფლება, ეხლა-კი იმათის მოქმედების საგანია საბერძნეთს შემოუერთონ ის ადგილები, რომლებიც ჯერ კიდევ ოსმალეთის მონობის ქვეშ არის. ამ გვარ ადგილთა შორის პირველი ადგილი მაკედონიას და კუნძულ კრიტს უჭირავთ, საცა, როგორც მუდამ დღე დეპეშები გვატყობინებს, ხალხი აჯანყდა და შესაზარი სისხლის ღვრაა. ამ დღეებში „ეროვნულ საზოგადოებას“ ალექსანდრიიდგან წერილები გაუგზავნია რუმინიას, ეგვიპტეს, ოსმალეთს და სხვა ქვეყნებშიაც, რომლითაც ის ბერძნებს იწვევს მიემხრონ ეროვნულს მოძრაობას და ფულად დახმარება აღმოუჩინონ. როგორც ათინის ერთი გაზეთი ამბობს, ამ გვარი წერილი ინგლის-ეგვიპტის ბანკის მმართველსაც მისვლია, რომლის სახელზედ შეწირულებანიც თურმე მიდის.

როგორც ვუწყით, განათლებული კაცობრიობა ამ საუკუნის დამდეგს დიდს მფარველობას უწევდა ბერძნებს; ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოების წყალობით, მაშინ საბერძნეთმა ოსმალეთი დაამარცხა და თავისუფლება მოიპოვა. მაგრამ ამ ჟამად საქმეთა გარემოება შეიცვალა, ყველანი თავიანთ თავის ფიქრში არიან, ვიდრე სხვისა, და აი, სწორედ ამისა გამო საბერძნეთის ეხლანდელს მოძრაობას ევროპა უფრო მტრულის თვალით უცქერის და ხელს უშლის, ვიდრე რაიმე შემწეობას აძლევს. მაგალითად, ავსტრო-უნგრეთისა და გერმანიის გაზეთები ამბობენ, რომ საბერძნეთი იმდენად დასუსტებულია ვალებით, იმდენად არის წელში მოხრილი, რომ მისმა მთავრობამ სხვა საშუალება ვერა იღონა-რა, რომ საბერძნეთი კოტრად არ იცნან,—პოლიტიკურის მოძრაობის გარდა.

## იაპონელ დიპლომატის აზრი ჩინეთის შესახებ.

ჩინეთი მრავალ მხრით არის საინტერესო მკითხველებისათვის. დიდი ხანია ჩვენში ჩინეთის შესახებ სამართლიანად ჰმეფობს ის აზრი, რომ ეს ქვეყანა გარემოცულია უზარ-მაზარის კედლით, რომელშიაც ვერავითარის სწავლა-განათლების სხივი ვერ შეატანს... საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველებს გაუზიაროთ იაპონიის დიპლომატის აზრიც ამ ქვეყნის შესახებ. თქმა არ უნდა, რომ ეს აზრი ერთობ გადაჭარბებულია, მაგრამ იგი მაინც ჩინებულად ახასიათებს იმ გარემოებას, რომ ეს უზარ-მაზარი სახელმწიფო უკვე გამორკვეულა სალათას ძილისაგან და წინ-მსვლელობის გზას დასდგომია. რა თქმა უნდა, ეს არც ისე ადვილი უნდა იყოს, როგორც ამ დიპლომატსა ჰგონია, მაგრამ ისიც მართალია, რომ თუ ევროპის სხივი ერთხელაც არის შეამტვრევს „ჩინეთის კედელს“ მერე ადვილად გავრცელდება იგი ამ გოლიათ სახელმწიფოს ყველა ნაწილში.

„ჩვენო,—ამბობს იაპონელი დიპლომატი: სრულიად შემცდარი აზრისანი ვართ ჩინეთის შესახებ. ჩვენში დარწმუნებულნი არიან, რომ ჩვენმა ძლევა-მოსილმა მხედრობამ სასიკვდილოდ დასჭრა და დაამარცხა ჩინეთის სახელმწიფო. მაგრამ არა თუ სასიკვდილოდ არ დაგვიჭრია, გაკაწვრითაც კი ვერ გაგვიკაწრავს იგი. ეს მცირე და უმნიშვნელო ჭრილობა ისე ჩქარა მოურჩა ჩინეთს რომ, როცა ამ უკანასკნელ დროს ინ—ცზიში გამოვიარე, წარსულ ომიანობის კვალიც-კი ვერსად შევამცნიე.. იქ ხელახლად გამეფებულა უწინდებური ცხოვრება... მცხოვრებთ კვლავ განუახლებიათ მინგრეულ-მონგრეულ დაბა ქალაქები. ისევ ახალის ძალით განვითარებულან ალებ-მიცემობა, ისევ ისე უწინდებურადა სცემს იქ ცხოვრების ძარღვიო.

„როცა ჟურნალ-გაზეთებში ამოვიკითხავ ხოლმე წერილებს იმის შესახებ, თუ რომელს ქვეყანას უფრო მეტი გავლენა აქვს ჩინეთზეო: რუსეთს, ინგლისს, თუ გერმანიასა, ცხადად ვრწმუნდები, რომ როგორც მწერლები, ისე მკითხველები ძალიან ცუდად იცნობენ ჩინეთსა. იცით, ბატონებო, თუ რა არის ჩინელთა თავ-მოყვარეობა?.. არა გცოდნიათ, თუ გგონიათ, რომ ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწენი დღეს რუსეთის ან გერმანიის პოლიტიკით ხელმძღვანელობენ და ხვალ კიდევ—ინგლისის ნებაზედ დაუვლიან ფერხულსაო.

„ეჭვს გარეშეა, რომ დღეს ჩინელები იმიტომ ეძებენ ინგლისის მეგობრობას, რომ უფრო მეტი ძალა შეიძინონ რუსეთის წინააღმდეგ; ხვალ იგივე ჩინეთი რუსეთს გაუწვდის სამეგობროდ ხელს ინგლისის წინააღმდეგ და სხ... მაგრამ ყოველი ეს ნუ თუ იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ჩინელებს დავიწყებიათ თავისი საუკუნოებით განმტკიცებული მამა-პაპური წესი და სჯული, განა აქედგან ის უნდა დავასკვნათ, რომ ჩინეთმა თავისი პირადობაც უარ-ჰყო და სხვა რომელსამე სახელმწიფოს პოლიტიკის ფეხის ხმას მისდევსო?

„ხშირად გამიგონია, რომ ჩინეთს სძინავსო. ზოგიერთები იმასაც-კი ამბობენ, რომ ჩინეთმა საუკუნოდ დაიძინაო და კაცობრიობა ვეღარ მოესწრება იმის გაღვიძებასო და სხ. მაგრამ მე არ ვეთანხმები ამ აზრს...

ვინც ასეთის აზრისაა, იმას არ ახსენდება, რომ ამ ქვეყანას მთელის ორმოცი საუკუნის ისტორია აქვს, ძველის ძველი კულტურა, რომლითაც სამართლიანად შეუძლიან თავი მოიწონოს ყველა მეზობელ სახელმწიფოთა შორის.

„აბა კარგად დაუგდეთ ყური ჩინეთის მაჯის ცემას! თუ ამ რამდენისამე წლის წინად ამ სახელმწიფოს მმართველობაში განათლებული კაცები დიოგენის ფარნით უნდა გეძებნათ, დღეს-კი ხშირად შეხვდებით ისეთ ევროპიულად განათლებულ მოხელეებს, როგორც ლი-ხუნ-ჩანგია... დღეს თვით ჩინეთის მბრძანებელი ბოგდიხანი გულ-მოდგინედ სწავლობს ინგლისურს ენას და ევროპის განათლებას ეტანება. იმისს მაგალითს ჰბაძავს დღეს მთელი ჩინეთი, ნუ თუ ყოველი ეს უტყუარი საბუთი არ არის იმისა, რომ ჩინეთმა დაუტევა სალათას ძილი და თამამად დაადგა წინ-მსვლელობის გზას? ყოველი ეს ცხადი საბუთია იმისა, რომ ახლო მომავალში ძველი ჩინეთი გამოიცვლის ძველს ქერქს და განახლებული ევროპის მეცნიერების შუქით თამამად ამოუდგება გვერდში თავისს ევროპიელ მეზობლებს.

„ჩინეთს არასოდეს არ მოუწონებია თავი მხედრულის ყოვლის შემძლებელობით; პირ-იქით, ის არც-კი სარგებლობს იმ მწარე გამოცდილებით, რაც ასე ძვირად დაუჯდა უკანასკნელის ომიანობის დროს. მაგრამ მაინც ყურადღების ღირსია ის მოვლენა, რომ ჩინეთი რაღაც იმედით უყურებს თავისს მდგომარეობას. ის ცხადადა ჰგრძნობს თავისის ორმოცი საუკუნის კულტურის ყოვლის შემძლებელობას. გულ-დინჯად, აუჩქარებლად უცდის იმ დიდებულს მომავალს, რომელიც მალე უნდა აღმოცენდეს ამ საუკუნოებით მომზადებულს ნიადაგზედ. მოგზაურობის დროს ყოველ ფეხის გადადგმაზედ ვხედავდი იაპონელებს, რომელნიც ვაჭრობენ, მრეწველობენ და სხვ. ჩინელებმა უკვე დაივიწყეს ის გარემოება, რომ იაპონელები სულ რამდენისამე ხნის წინად იმისი მტერნი იყვნენ და შეუბრალებლად აწიოკებდნენ ჩინეთის დაბა-სოფლებსა და ქალაქებს. ნუ თუ ყოველი ეს უტყუარი საბუთი არ არის, რომ ჩინეთი იმდენად იაპონიის შურისძიების ფიქრში არ არის, რამდენადაც ჰზრუნავს ევროპის განათლება შეითვისოს და ამითი წამოეწიოს სხვა სახელმწიფოებს“.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„მოსავლის მცველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“. შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. ოც-და-ხუთი სურათით. ფასი ერთი აბაზი.

ჩვენა, ამბობს ერთი სწავლული, ყოველ დღე ვამბობთ ურიცხვს სხვა-და-სხვა საგნის სახელებს და იმავე დროს არა ვცდილობთ გავიგოთ ამ საგნების ბუნება და თვისებანი; ამ გვარად გამოდის, რომ ჩვენ ვიცით არა თვით საგნები, არამედ მხოლოდ მათი სახელიო. ასე რომ იყოს, კიდევ არა უშავს-რა, ჯანი გავარდეს, არ ვიცით საგნის თვისებანი და გათავდა. მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ადამიანის გონება უფრო ხშირად მარტო სახელის ცოდნას არა კმარობს და

---

ფელში ჭირი გაჩნდა, მაშინვე ალყას შემოარტყმენ და ის, ვინც გაჰბედავს თურმე ეს ალყა გამოარღვიოს და გამოვიდეს, მაშინვე თოფს დასცემენ და იქავ მოჰკვლენ ხოლმეო.

დიდი ხანია შენიშნული, რომ განსაკუთრებით ჭირი ვრცელდება ჭირიანის ნაქონებისა და ჭირიან მცხედრისაგან. ამისთანაებში განთქმული მეცნიერი ფრაკასტორი ამბობს, რომ ერთი ქურქი ჭირიანის კაცისა 25 კაცს სხვა-და-სხვა დროს სცმია და ყველანი გამწყდარან ჭირისაგან და ბოლოს ქურქი დაუწვამთო. ეგვიპტეში ერთი ყელსახვევი 10-ს ჯარის კაცის ხელში ყოფილა და ყველას ჭირი აჩენდაო. ჭირიან მცხედარის ბიკარებას და თან გაყოლასაც-კი, როცა ჰმარხავენ, ხშირად ჭირი შეუყრია მთელ ჯგუფა ხალხისათვისაო.

სპარსეთში ჭირი დიდხანს იდგომილებს ხოლმე, უსათუოთ იმიტომაო, რომ ერთი ახირებული ჩვეულება აქვთო. იქ სუდარაში ახვევენ მკვდარსა და მიაქვთ რამდენსამე ასს ვერსტზე, რომ „წმინდა ადგილას“ სადმე დაჰმარხონ. ეხლახან გადავსინჯე წესები, რომელიც დაუდგენიათ სპარსეთში, თუ ვინიცობაა გადამდები სატკივარი სადმე გაჩნდაო, ამ წესით აღუკრძალავთ ეს ახირებული ჩვეულებაო.

ჭირის დედა მალე კვდება სიცხისა, სიცივისა და წყლისაგანაო. ეს ხელთ გვაძლევს ღონის ძიებას, რომ ჭირს გადავურჩეთო. საკმაოა, რომ საეჭვო ნახმარი. თუ ნაქონები დიდხანს ვამყოფოთ რეომურის 60 გრადუსიან სიცხეში, ან ცოტა ხნობით 100 გრადუსიანშიო. ამის შემდეგ ამათი ხმარება საშიში აღარ არისო. სხვა რაღაც შებოლება და სხურება წამლებისა ჰაერის გასაწმენდად სულ უქმია და ამიტომ სჯობს ამაებზე იმედი არ იქონიონო. ერთი ღონისძიებაც თურმეა, რომ ნახმარი და ნაქონები ჭირიანისა უშიშარ ჰყოფდეს ადამიანსა. თუ ნახმარი და ნაქონი ჭირიანისა იმისთანა რამ არის, რომ ხსენებულ სიცხისაგან ევნება რამე, ამისათვის ძალიან ადვილი წამალი წყალია. აიღეთ და ნახმარი წყალში ჩასდეთ. ძალიან კარგი იქნება, რომ წყალს ჩაურიოთ სულემა, კარბოლის და ბორის სიმჟავე (Сулема, Карболовая и борная кислоты). ამ რიგად წყალში დებული ნახმარი და ნაქონი ჭირიანისა საშიში აღარ არის, რომ ჭირი გაავრცელოსო.

როცა ჭირი აჩნდება ადამიანს, ჯერ კიდევ იმედი გადარჩენისა არ არის დაკარგული სნეულისათვის: სნეული შესაძლოა მორჩეს. ეგ იმაზეა დამოკიდებული რა ღონით მოსევია ჭირი. ზოგჯერ ძალიან ბევრი გადარჩება ხოლმე, ზოგჯერ ნახევარი. წინადვე შეიძლება შეატყოს კაცმა,—ვინ ვერ გაუძლებს ჭირსა: ეს ისინი არიან, ვინც უიმისოდაც სნეულნი არიან და სუსტნი, ვისაც ლოთობით, მრუშობით და გარყვნილობით დაუუძლურებია თავისი აგებულება, ან გადაჭარბებულ შრომაჯაფით ქანც გაწყვეტილია.

აქამდე არ იყო წამალი, ჭირისაგან მოსარჩენი. არც მოსალოდნელი იყო, რომ აღმოეჩინათო. მართლაც და,—რა არის ჭირი? კითხულობს პროფესსორი და პასუხად იძლევა: მოწამლვაა, რომელიც ჭირის ჩხირისაგან მოივლინებაო. რადგანაც ყოველს საწამლავს, რომელიც კაცის აგებულებაში შედის, თავისი მტერი ჰყავს, აი ამ მტერის გაჩენას ხელი უნდა შევუწყოთო. კაცი სნეულდება იმიტომ, რომ იგი სიწამლავი უჩნდება, რომელსაც მიკრობი აჩენსო. ზოგჯერ თვითონ ჯანმრთელი და ღონიერი აგებულება ადამიანისა შეჰქმნის გადასაწამლავს (противоядіе) და სნეული მორჩება ხოლმე. ეგ გადასაწამლავი ჰრჩება აგებულებაში და ამიტომაც ერთისა და იმავე გადამდებ სენითა ადამიანი ხელმეორედ აღარ გახდება ხოლმე ავადაო. მაშასადამე, თუ მორჩენა გვინდა სნეულისა, იგი გადასაწამლავი უნდა შევიტანოთ აგებულებაში, რომელსაც თვით აგებულება ჰცდილობს და ვერ შეუქმნია. ამისთანა გადასაწამლავი იმ ცხოველის შედედებული სისხლია (кровяная сыворотка), რომელსაც სჭირებია გადამდები სენი და ამის გამო ხელახლად ამავე სენის შეყრისა აღარ ეშინიან.

ამისთანა გადასაწამლავს დღესა ჰხმარობენ და დიდის გამარჯვებითაც ყელის ტკივილში, რომელსაც დიფტერიტს ეძახიან. ჭირისათვისაც ამავე ღონისძიებას მიჰმართეს. მისი გადასაწამლავი გააკეთეს მეცნიერთა ერსენმა, კალმეტმა და ბორელმა. ჯერ თურმე აიღებენ და ჭირის ჩხირს მოაშენებენ და აქედამ, რა თქმა უნდა, ძლიერი საწამლავი კეთდება. რომ ცოტა ღონე მოაკლონ ამ საწამლავს, ცეცხლზე სდგმენ ასე, რომ 58 გრადუსი ცელსიისა იყოს. ამ საწამლავით ჭირი შეჰყარეს წვრილ-ფეხა ცხოველებს. აღმოჩნდა, რომ ჭირი თუმცა აჩნდათ, მაგრამ ძალიან ნელი და არა ევნოთრა; პირ-იქით ღონე მიეცათ გაუძლონ უფრო ძლიერს ჭირსა. ამ ცხოველების შედედებული სისხლი გადასაწამლავად შეექმნათ იმათ, ვისაც განგებ შეჰყარეს პირველში და დაწყებისავე უმალ ჭირი გაუქარწყლდათ. გარდა ამისა იმ ცხოველთ, რომელთაც ჭირი არა ჰქონდათ, ამ გადასაწამლავის გამო ჭირი არ მიეკარა სრულებით. რა კი ეს აღმოაჩინეს, ძნელი აღარ იყო ადამიანზედაც ეცადნათ. იმ გზით, რაც ზევითა ვთქვით, ცხენს მოექცნენ. ცხენს განგებ შეჰყარეს ჭირი, მისის შედედებულის სისხლით უწამლეს ჭირიან ადამიანს და საოცარი შედეგი ჰნახეს: 21 ჭირიანისაგან 20 კაცი სრულად მორჩა და გასაღდა. ყოველივე ეს საცდელი შარშან მოჰხდა და პროფესორი სკორიჩენკო სწუხს, რომ ეს ნაცადი არა სცადეს მკურნალთა ბომბეიშიო და სხვაგანაც, საცა დღეს ჭირიაო.

ყველა ზემოთქმული რომ მოკლედ მოვჭრათო, ამბობს ბოლოს პატივცემული პროფესსორი, აი რა ითქმისო: ევროპამ უნდა თავი იხსნას ამ საშინელის ჭირისაგან. ამასთან იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ თუ შესაფერ ღონისძიებას ვიხმართ, შესაძლოა, ჭარი არ შემოვუშვათო. თუ შემოგვეპარა, შესაძლოა, გზები შევუკრათ, ერთს ადგილას მოვამწყვდიოთ და არსად არ გავუშვათო, მინამ თითონვე არ გაქრებაო. ამასთან იმედია, რომ, თუ ვისმე ჭირი შეეყარა, მისგან განთავისუფლდეს ზემოხსენებულ შედედებულ სისხლითაო. ღმერთმა ჰქმნას, რომ, ეს საშინელი სტუმარი არ ეწვიოს ჩვენ ქვეყანასაო.

ჩვენც ვისურვოთ, რომ თავიდგან აგვცილდეს ეს საშინელი განსაცდელი და სანუგეშო იმედი პატივცემულ პროფესსორისა უკლებლივ აგვისრულდეს ჩვენ და მთელს ქვეყნიერობას.

სჯობს უყვარს ამავე საგნების შესახებ, მაგრამ ხშირად ეს მსჯელობა შემცდარია, ცრუ საფუძველზედ არის აგებული და შემცდარს შეხედულებას კი, რა თქმა უნდა, ცხოვრებაშიაც შემცდარი, მავნე მოქმედება მოჰყვება. აი ასეთ მავნე მოქმედებათა ასაცილებლად არის, სხვათა შორის, დაწერილი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის ზემოხსენებული წიგნი.

საკმარისია ეს შედარებით პატარა წიგნაკი წაიკითხოთ და დარწმუნდებით, რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის იმოსთანა არსებათ, რომელთაც ჩვენ გსდევნით და რომელთა აღმოფხვრასაცა ვცდილობთ. ამ წიგნაკის წაკითხვა დაგარწმუნებთ, რომ თუ არ ზოგიერთი ცხოველები და ფრინველები, ვინ იცის, პურისა და სხვა მცენარეების მოყვანა შეუძლებელი უოფილიყო. ნათელი მაგალითი ამისი მოთხრობილია ბ-ნ გოგებაშვილის მიერ უუბის კუნძულის შესახებ (ამერიკაშია). უუბის კუნძულზედ გადასახლებულმა ევროპიელებმა თან მარცვლეულობანი წაიღეს და უნდოდათ პურის მოყვანა, ბაღის გაშენება და სხვანი, მაგრამ იმის ნათესობას დაესივნენ თურმე იქაური მწერები და სულ ერთიანად გამოხრეს, გაახმეს, მოაცდინეს. ევროპიელები იძულებულნი იქმნენ თავისი სამშობლოდგან ბეღურები დაებარებინათ. ამ ფრინველებმა ერთბაშად მუსრი გაავლეს თურმე სხვა-და-სხვა ჭიასა და მწერს და მხოლოდ ამის შემდეგ გულდამშვიდებულად შეიძლებოდა ხვნა-თესვა.

სხვა ფრინველებიც ასე იღწვიან ჩვენთვის და დიდად გამოსადეგნიც არიან. აი თუნდა ჩვენ-მიერ დევნილი ჭოტი ავიღოთ მაგალითად. კარლოს ფოხტი ამბობსო, მოგვითხრობს წიგნაკის ავტორი,—რომ ჭოტები უველა ფრინველებზედ სასარგებლონი არიან და ბედნიერება მიაქვთ უველგან, სადაც კი ისინი დაიბუდებენ. რატომაო, იკითხავთ. იმიტომ, რომ ჭოტი სწყვეტს ჩვენთვის მავნე ცხოველებსა. მეცნიერმა ჩუდიმ მიაგნო ჭოტების ბუდეს და ერთს საღამოს ამ ბუდის ახლო მიიმალა და უთვალთვალა. აღმოჩნდა, რომ ერთის საღამოს განმავლობაში დედალმამალმა ჭოტმა თერთმეტი თაგვი დაიჭირეს—ეს დაუძინებელი მტერი მოსავლისა. მოდით ახლა და სდევნეთ ამისთანა ფრინველი. ზღარბი კიდევ, მაგალითებრ, მუსრს ავლებს უხამიანს გველებს; გომბიო განათლებულ ქვეყნებში იმგვარადვე იცავს ბოსტანს სხვა-და-სხვა მჭამელისაგან, როგორც ჩვენში კატა სახლს თაგვისაგან. ასევე სასარგებლონი არიან მერცხალი, გუგული და სხვა.

წიგნაკი მშვენიერად შედგენილია, სუფთად გამოცემული და დასურათებული და ამგვარ ცხოველების ცხოვრებას მოგვითხრობს. ამ წიგნაკში ბევრი სასარგებლო ცნობაა მოქცეული, ცოდნა ჭეშმარიტი, უველასათვის საჭირო. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამისთანა სასარგებლო წიგნებიც, სასარგებლო უოველის ანბანის მცოდნესათვის, მთელი წლეიწადი აწყვია და არ იყიდება. ვისურვებთ, რომ ამ წიგნაკს მაინც აშორებოდეს საზოგადო ბედი ქართულის წიგნებისა.

პ—რი ს—ძე

## დამაკვირდი

უკეთესს ღირსებას ადამიანისას შეადგენს: სხვისთვის კეთილის სურვილი, სიბრძნე და სიმაგრე ხასიათისა.

ვეისი

***

სხვის გულ-კეთილობა იმოდენად მასიამოვნებს ხოლმე, რამოდენადაც ჩემი საკუთარი გულ-კეთილობა.

ჟუბერტი

***

ძალიან ცოტამ იცის, რომ არის ქვეყანაზე ერთი რამ, რომელსაც ხორცის ზნეობა ჰქვიან. ბევრსა ჰგონია, რომ ხორცისათვის არა ჰღირს კაცმა იზრუნოს.

სპენსერი

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

ინგლისელს მეცნიერს ფორბს უინსლოუსს გამოუძიებია თავის-კვლევის მიზეზები და გამოძიება წარუდგენია ლონდონში მკურნალთა კრებულისათვის. ამ გამოძიებიდამა სჩანს, რომ ფორბს უკვლევია 7,200 შემთხვევა თავის-კვლევისა. ამათში 2,000 იმისთანა აღმოჩენილა, რომ მიზეზი თავის-კვლევისა ვერ გაუგიათ. დანაშთენებისა-კი აი რა ყოფილა მიზეზი: გაჭირება, შიმშილი, ნაკლებულობა გახდომია თავის-კვლევის მიზეზად 905 მამა-კაცს და 511 დედა-კაცს; შინაური წყენა—728 მამა-კაცს და 524 დედა-კაცს; ფულში ზარალი—322 მამა-კაცს და 233 დედა-კაცს; ლოთობა და გარყვნილობა—287 მამა-კაცს და 208 დედა-კაცს, ქაღალდში ფულის წაგება—155 მამა-კაცს და 141 დედა-კაცს; პატიოსნების შელახვა—222 მამა-კაცს და 410 დედა-კაცს; უბედური სიყვარული—97 მამა-კაცს და 157 დედა-კაცს; მეტის-მეტი თავმოყვარეობა და სინიდისის ქენჯნა—50 მამა-კაცს და 50 დედა-კაცს; ფანატიკობა—16 მამა-კაცს და 1 დედაკაცს კაცთა ძულება 3 მამა-კაცს და 3 დედა-კაცს; საერთოდ 4 მამა-კაცზე 3 დედა-კაცი მოდის თავისის თავის-მკვლელი.

***

ლიონის სამკურნალო ფაკულტეტის დოცენტს სახელად ლორტეს აღმოუჩენია, რომ ეგრედ წოდებული რენტგენის სხივი ჭლექს არჩენსო. ამის საცდელად ექვსი ზღვის ღორი აუყვანია და ყველასათვის შეუყრია ჭლექი. მერე სამი იმათგანი რენტგენის სხივების მოქმედების ქვეშ ჰყოლია და სამი კი არა. პირველს სამს ცხოველს არავითარი სნეულება არ აჩენიათ. სამ დანარჩენს-კი მოჰკიდებია ჭლექი და დახოცილან ჭლექისაგან. აქედამ ლორტეს დაუსკვნია, რომ რენტგენის სხივები ჰხოცავს ჭლექის ბაცილებსაო. ეს ამბავი ლორტეს უცნობებია რონის დეპარტამენტის მკურნალთა საზოგადოებისათვის და დიდი ლაპარაკი და ბაასი გამოუწვევია.

***

თუ გნებავთ, ფეხსაცმელს წყალმა არ შეატანოს და ფეხი არ დაასველოს, ამისი წამალი ეს არის თურმე: აიღეთ ნახევარ-გირვანქა ძროხისა და ნახევარ-გირვანქა ღორის ქონი და თორმეტი მისხალი ტერპენტინი, მაგდენივე წმინდა სანთელი და მაგდენივე ხის ზეთი (деревянное масло). ყოველივე ეს დაადნეთ ნელ ცეცხლზე და რაც შეიძლება კარგად ურიეთ. ამ ნაირად გაკეთებული წამალი წაუსვით ფეხსაცმელს, რომელიც უნდა თბილი იყოს. რამდენჯერმე უნდა წასმა ზედა-ზედ, რომ ტყავს კარგად გაუჯდეს. აგრე წასმული ფეხსაცმელი მთელი ერთი დღე და ღამე თბილ ადგილას უნდა დასტოვოთ გაუწმედავად. ერთის დღე და ღამის შემდეგ წასმული უნდა ჩამოსწმიდოთ რითიმე. პირველ ხანში ტყავი შემხმარი იქნება და გამაგრებული. ტარებაში პირველ დღესვე ტყავი მორბილდება. ამ სახით მომზადებულ ფეხ-საცმლით მთელი დღე რომ წყალშიაც იდგეთ, წყალი და ნესტი არ შეუვაო. რამდენსამე ხანს შემდეგ ხელახლად მოუნდება წასმა. ეს წამალი იმითიც არის კარგი, რომ ფეხსაცმელს დიდხანს აძლებინებსო.

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ პერევისის საზოგადოების მამასახლისს ჩაჩანიძეს, რომელმაც რვა მანეთის სასწავლო ნივთები დაურიგა ჩემდამო რწმუნებულ სასწავლებლის მოსწავლეებს.

პერევისის სასოფლო სკოლის მასწავლებელი ვანო გიუნაშვილი.

# დეპეშა

26 იანვარი

**პეტერბურგი.** ამ წლის 20 თებერვალს იდღესასწაულებენ შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრის ე. ვ. ბოგდანოვიჩის 50 წლის სახელმწიფო სამსახურში მოღვაწეობს.

**პარიზი.** გუშინ ინგლისის საზოგადოებათა პალატაში მომხდარ კამათის შესახებ გაზეთი (?) ჰკიცხავს გიკს-ბიჩის თავ-დაუჭერელს სიტყვას და ამბობს, რომ: „ეს ცხადი საბუთია იმისი, რომ ინგლისის კაბინეტი, თავისი ინტერესების დასაცველად, გულ-ახდით უნდა შეჰკითხებოდა პარიზისა და პეტერბურგის კაბინეტებს, რომელნიც სრულიად თანხმობით მოქმედებენ ეგვიპტის საქმეშიო.“

**კონსტანტინოპოლი.** როგორც კანეიდგან აქ მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, კრისტიანებს ქონსულებისათვის მიურთმევიათ წერილი, რომელშიაც საყვედურს უცხადებენ ცვლილებათა შემოღების ასე დაგვიანებას. ქრისტიანებს იმ ბრალსა სდებენ, რომ ქუჩებში მომხდარ უწესოებისა და შეტაკების მიზეზი თქვენა ხართო. მეორეს მხრით არც იმასა სჭირია დამტკიცება, რომ ოსმალეთის კომიტეტი სცდილობდა, ოსმალნი შეკრებილიყვნენ ქალაქებში რათა, დემონსტრაციები მოეხდინათ ცვლილებათა შემოღების წინააღმდეგ.

**კაირი.** ეგვიპტის მთავრობამ უპასუხა საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენლებს, რომ ავიღე ინგლისისაგან მის მიერ წინადადებული სესხი იმ კანონების თანახმად, რომელიც ამ უფლებას მანიჭებდაო. მთავრობას ფიქრადაც არ მოსვლია დაერღვია საერთაშორისო ვალდებულებანი, რომელსაც იგი ასე ხელშეუხებლად იცავსო.

28 იანვარი

**პეტერბურგი.** „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთში“ დაბეჭდილია: „27-ს იანვარს ს.-პეტერბურგის ბირჟის მოქმედება იმითი გათავდა, რომ საშინლად და მოულოდნელად დაეცა ფასიანი, უმეტესად სააღებმიცემო, ქაღალდები. ბირჟამ, რომელიც ადვილად აჰყვება ხოლმე ყოველსავე უბრალო იმედსა და შიშს, ამ ხელადაც გამოიჩინა თავისი სისუსტე, რადგან რაოდენადმე საშიში ნიშნები ჩვენ ვერა დავინახეთ-რა. ბირჟაზედ ლაპარაკი აღიძრა შავის ჰირის მოახლოვებისა და ოსმალეთში მომხდარ ამბების შესახებ. ეს გაიხადეს მიზეზად ბირჟაზედ მომქმედთ. ასეთს ძლიერს დაცემას ფასიანის ქაღალდებისას გასამართლებელი არა აქვს-რა და მისი მიზეზი იფარება იმ გარემოებაში, რომ ბაზარში ძალიან ადვილად გამოაქვთ დივიდენდები და ფასიანი ქაღალდები, რომელთა ზოგიერთი ნაწილი სუსტს ხელშია თავ-მოყრილი, რითიც სარგებლობენ ყოველს შემთხვევაში ფასების ასაწევ-დასაწევადაო“.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. დიდძალი კრებულია. სადიპლომატიო ტრიბუნა სავსეა. ყურადღება მიქცეულია იმაზედ, რომ ინგლისის ელჩი პალატაში იმყოფება. დელონკლი შეეხება გიქს-ბიჩის მიერ წარმოთქმულს სიტყვას, რომელიც ოპოზიციის მეთაურთ ჩასთვალეს საფრანგეთისა და რუსეთის საწყენ სიტყვადაო. გიქს-ბიჩმა უცნაური დაუდევრობა გამოიჩინა ხელშეკრულობათა შესახებ და განაცხადა, რომ მარტოოდენ ინგლისს აწევს ტვირთი ეგვიპტის უშიშარად ყოფნის პასუხისმგებელობისაო და რომ მის მიერ სესხად მიცემული 20 მილიონი შეძლებას მისცემს ინგლისს დიდხანს არ გამოიყვანოს ჯარი ამ ქვეყნიდგანაო. დელონკლიმ სთხოვა ანოტოს, პარლამენტს აცნოდინეო ეგვიპტეში მომხდარ ამბავთა საბუთის ქაღალდებიო. პარლამენტი ნებას არავის მისცემს, რომ საფრანგეთის უფლებას შეეხოს ვინმე, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოირკვეს, რა უფლებანი აქვს საფრანგეთის ეგვიპტეშიო (ტაშის ცემის-ხმა ისმის). პასუხი გასცა რა ანოტომ, ამ საგანს ფინანსიურის მხრით შეეხო და პარლამენტს აუწყა შინაარსი იმ ნოტისა, რომელიც გაუგზავნია ხედივის მთავრობისათვის. რაც შეეხება საზოგადოებათა პალატაში წარმოთქმულს სიტყვასაო, სთქვა ანოტომ: უნდა გახსენოთ, რომ აზრთა ერთმანეთში გაზიარება და პარლამენტის წევრთა ლაპარაკი ვერ გარდასწყვეტს ასე თუ ისეპ საერთაშორისო დავასაო. (ტაშის ცემა გაისმის). ლაპარაკით ბევრი ვილაპარაკეთ განსაკუთრებით ეგვიპტის მართლ მსაჯულების შესახებ, მაგრამ რატომ არ იქმნა აღსრულებული ყველასაგან კანონიერად მიჩნეულ მოსამართლის გარდაწყვეტილებაო?(ტაშის ცემაა). იმათი მოვალეობაა, ვისაც ევროპამ მიანდო ეგვიპტის ზედამხედველობა, გააფრთხილონ ეგვიპტის მთავრობა, რომ იგი განსაცდელის გზაზედ დგება და შეიძლება დეფიციტშიაცაო. ეგვიპტე გავაფრთხილოთ, რომ ფინანსების საქმეები კარგს წესებს დაუმორჩილოსო (ტაშის ცემაა). საფრანგეთი ეცადა რამდენადაც-კი შეეძლო, მხარი მიეცა ევროპის ერთობისათვის. საერთა შორისო საქმეთა ვითარებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა და ვერავინ ვერა ჰყოფს საფრანგეთს იძულებულ შესცვალოს თავისი გარდაწყვეტილება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არავის არა ჰქონდეს ნება საერთაშორისო ხელშეკრულობათა ხელ-შეხებისასაო (ტაშის ცემაა). ეს ამბავი ამითი დაბოლოვდა.

**ვენა.** „საპოლიტიკო კორრესპონდენციაში“ ნაუწყებია პორტას მიერ გამოთქმულნი აზრნი ელჩთა თათბირის შესახებ. მიზეზად დაასახელა რა მკვიდრთა შორის გამეფებული არეულობა, პორტამ სთხოვა დიდ სახელმწიფოებს, გამოაქვეყნეთ ცვლილებათა პროექტი და სულთანის მზადაა დაუყოვნებლად განახორციელოს იგიო, ხოლო დიდმა სახელმწიფოებმა უპასუხეს: ნაადრევად გამოქვეყნება ამ პროექტისა კარგი არ არისო და ცვლილებათა პროექტი მაინც ეცნობება სულთანს, ჯერ-კი კაბინეთები სიამოვნებით ისმენენ სულთანის კეთილ განზრახვათაო.

**ლვოვი.** გალიჩის სეიმმა ერთ-ხმად შეიწყნარა სარჩიელი კრაკოვში ვაველის მთაზედ იმპერატორის სრა-სასახლის აშენებისა თავისის ხარჯით და დაადგინა, ეს სრა-სასახლე იმპერატორს მიერთვას საჩუქრად მისის მეფობის 50 წლის დღესასწაულის დღესაო.

**კონსტანტინოპოლი.** კანეიაში მაჰმადიანნი სძარცვავენ სახლებს ქრისტიანებისას, რომელთაც უცხო ქვეყნების გემებს შეაფარეს თავი. ამბობენ, რომ თვით გენერალ-გუბერნატორს დაურიგებია მაჰმადიანთათვის იარაღი და ტყვია-წამალიო. ამ კუნძულის სხვა ნაწილებიდგანაც ავი ამბები ისმის. კრიტის მაჰმადიანებმა სულთანს დეპეშა გაუგზავნეს და სთხოვეს, შემწეობა აღმოგვიჩინეთო, რადგან გვძარცვავენ და გვხოცენო. დიპლომატები ჰშიშობენ, რომ თუ ჯარს მოუმატებენ, საქმე უფრო ცუდად წავაო. იმის შიშიცა აქვთ, რომ შეიძლება ასევე იმოქმედოს საბერძნეთის გემების შემოსვლამ, რის გამოც ბევრი სახელმწიფო ამაოდ შეეცადა ხელი აეღებინებინა საბერძნეთისათვის ამ მოქმედებისაგან.

**კანეია.** ცეცხლი გააქრეს, მაგრამ ეგვიპტის სრა-სასახლე და ორასიც სხვა სახლი ძირიანად გადიწვა. ყანდიაში იტალიის სამხედრო გემები მოვიდნენ. მაჰმადიანნი თავს დაეცნენ თოფხანას და 2.000 მარტინის სისტემის თოფი გამოიტანეს. ამ ამბავის დროს ორი მაჰმადიანი მოჰკლეს და ხუთი დასჭრეს.

## გამოსადეგი ცნობანი

სავაჭრო ამბები

ყუბანის 1-ლი პლასტუნთა ბატალიონი, დაბანაკებული ქალაქ ართვინს, ქუთაისის გუბერნიაში, 10 აპრილს ამა 1897 წლისა იწვევს იმათ, ვისაც ჰსურს 15 მაისიდამ 1897 წლისა ერთის წლის ვადით ბატალიონისთვის საწოვაგის ძლევა აიღოს იჯარით. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ თავიანთი ბაშვორთი და ორასი თუმანი ფული საწინდრად. განცხადება წარდგენილ უნდა იქმნას უთუოდ სავაჭროდ დანიშნულ დღის 12-ს საათამდის.

## ნიხრი

იანვრის 28-დამ 1897 წ. ვიდრე შეიცვლებოდეს

ძროხის ხორცი 1 ხარისხისა

უძვლესოდ 1 გირვანქა . . 8 კაპ.

სუკი 1 გირვანქა . . . . . 12 „

ცხვრის ხორცი უძვლესოდ

1 გირვანქა . . . . . . . . 8 „



სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.